სახელმწიფო შესყიდვებისათვის მოსამზადებელი დოკუმენტაციის, პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი

ოქმი №2

ქ. მცხეთა 16 მარტი 2011 წელი

კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

| | | |
|---|---|---|
| ივანე მარტოლეკი | – | მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე-კომისიის თავმჯდომარე; |
| ლერი ტყემალაძე | – | ეკონომიკის, სტატისტიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსი-კომისიის თავმჯდომარის მოადგილე; |
| სოფიო მამისაშვილი | – | საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის, სახელმწიფო შესყიდვების განყოფილების უფროსი სპეციალისტი-კომისიის მდივანი; |
| მარინე სოხაშვილი | – | ადმინისტრაციული სამსახურის, იურიდიული განყოფილების უფროსი-კომისიის წევრი; |
| ილია ჯიშკარიანი | – | ეკონომიკის, სტატისტიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის, ქონების აღრიცხვის, მართვის და სტატისტიკის განყოფილების უფროსი-კომისიის წევრი; |
| ზურაბ მარსაგიშვილი | – | ეკონომიკის, სტატისტიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის, არქიტექტურის და ინფრასტრუქტურის განვითარების განყოფილების უფროსი-კომისიის წევრი; |
| გიორგი პაპაშვილი | – | საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის, სახელმწიფო შესყიდვების განყოფილების მთავარი სპეციალისტი- კომისიის წევრი; |

ილია ციციშვილი – საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის, ბიუჯეტის დაგეგმვის განყოფილების უფროსი-კომისიის წევრი;

მერაბ თუხარელი – საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის, სახელმწიფო შესყიდვების განყოფილების უფროსი- კომისიის წევრი;

ილია ოდიშელიძე – მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის, არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის სამსახურის უფროსი–კომისიის წევრი;

დღის წესრიგი:

1. 2011 წლის 24 თებერვალს გამოცხადებულ №1 საკონკურსო განაცხადზე- ქ. მცხეთაში, დ. აღმაშენებლის ქუჩაზე, არქეოლოგიური ცენტრის მიმდებარედ 2000 კვ. მ მიწის ნაკვეთზე (მცხეთის ნიჩბოსნობის სასპორტო სკოლის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენაზე) კონკურსანტების შპს **„PRIMO LINE"** -ის და **შპს „ჯი ენ პროექტი"-ს** მიერ წარმოდგენილი **პროექტების** განხილვა,შეფასება.

2. 2011 წლის 24 თებერვალს გამოცხადებულ №2 კონკურსში (მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფ. წეროვანში ავტობანიდან სოფლამდე მისასვლელი გზის აღდგენითი სამუშაოების პროექტირებაზე) კონკურსანტის **შპს „არქსერვისი+"-ის** მიერ წარმოდგენილი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის განხილვა, შეფასება.

მოისმინეს:

საკონკურსო კომისიის წევრები გაეცნენ, განიხილეს და შეაფასეს კონკურსანტების მიერ წარმოდგენილ პროექტები;

განხილვის შედეგად აღმოჩნდა, რომ **შპს „ჯი ენ პროექტი"-ს** მიერ წარმოდგენილი პროექტი სრულად აკმაყოფილებს მოთხოვნილ სტანდარტებს და საკონკურსო განცხადებაში მოთხოვნილ ყველა პირობას და კომისიამ უპირატესობა მიანიჭა მას, **შპს „PRIMO LINE"** -ის მიერ წარმოდგენილ პროექტთან შედარებით.

შპს „არქსერვისი+"-ის მიერ წარმოდგენილი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის განხილვის შედეგად აღმოჩნდა, რომ **შპს „ჯი ენ პროექტი"-ს** მიერ წარმოდგენილი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია სრულად აკმაყოფილებს მოთხოვნილ სტანდარტებს და საკონკურსო განცხადებაში მოთხოვნილ ყველა პირობას. გამომდინარე აქედან:

კომისიამ დაადგინა:

რომ კონკურსი №1 და კონკურსი №2 შედგა და გამოვლინდა გამარჯვებულები:

1. **შპს „ჯი ენ პროექტი"** გამოვლინდეს გამარჯვებულად №1 კონკურსში და გაფორმდეს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მიხედვით ხელშეკრულება და მიღება-ჩაბარების აქტი.
2. **შპს „არქსერვისი+"** გამოვლინდეს გამარჯვებულად №2 კონკურსში და გაფორმდეს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მიხედვით ხელშეკრულება და მიღება-ჩაბარების აქტი.

კომისიის თავმჯდომარე: ი. მარტოლეკი

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: ლ. ტყემალაძე

კომისიის მდივანი: ს. მამისაშვილი

კომისიის წევრები მ. სოხაშვილი

ი. ჯიშკარიანი

ს. მარსაგიშვილი

გ. პაპაშვილი

ი. ციციშვილი

მ. თუხარელი

ი. ოდიშელიძე